ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4815172

ნომერი: AR1714264

თარიღი : 22.10.2019

გაცემის თარიღი : 08.01.2020

გაცნობის თარიღი : 08.01.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარო მაყაშვილის აღმართი, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

-ვინაიდან „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა, მათ ხელთ არსებული ფოტომასალიდან ირკვევა, რომ ანტენები უკვე განთავსებულია ობიექტზე, ასეთ შემთხვევაში "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ, ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის სრული დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დემონტაჟის შემდგომი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟის განხორციელების თაობაზე.

-იმ შემთხვევაში თუ განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი ანძის დემონტაჟი (განმარტეთ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია), წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟის განხორციელების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.